MES 4 20 0000630602

24/07/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით **2020 წლის 10 ივლისს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე - პრეზიდენტი, მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ლაღიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია" და სამაგისტრო პროგრამის " გამოყენებითი ბიომეცნიერებები" ხელმძღვანელი;
ირაკლი კოხრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ანა გვრიტიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **ა(ა)იპ - საქართველოსსაპატრიარქოსწმინდათამარმეფისსახელობისუნივერსიტეტი:**

არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე) - რექტორი ;
გრიგოლ სულაბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ასათიანი ნატო - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
სარია ბელა - ფაკულტეტების დეკანი.

2. **შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი**

სერგო ტეფნაძე - რექტორი;
ემზარ ბარბაქაძე - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
დავით ტეფნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
დიმიტრი ლომიძე - საფრენოსნო ფაკულტეტის დეკანი;
ნიკა თიკანაშვილი - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ია მოსაშვილი;
ქეთევან აფთარაშვილი.

სხვა დამსწრე პირები:
თემურ წურწუმია.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 16:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ზარანდიამ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის შუამდგომლობის განხილვა;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის შუამდგომლობის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ საკუთარი პოზიცია, რატომ გახდა საჭირო აღნიშული შუამდგომლობის დაყენება.

დაწესებულების რექტორმა, არქიმანდიტრმა ადამმა, აღნიშნა, რომ დეტალებთან დაკავშირებით ისაუბრებდა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი გრიგოლ სულაბერიძე. გრიგოლ სულაბერიძემ აღნიშნა, რომ 2020 წლის 6 მარტს ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, დაწესებულებას განესაზღვრა 60 დღიანი ვადა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესასრულებლად. გადაწყვეტილება ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 2020 წლის 20 მარტს. 2020 წლის 21 მარტს, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და დაწესდა გარკვეული შეზღუდვები. 2020 წლის 23 მარტის დადგენილებით დამტკიცდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) პრევენციის მიზნით განსახორციელებელი აქტივობები, რომლის თანახმადაც საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდა სასწავლო პროცესი. ამასთან, დისტანციურ რეჟიმში გადავიდა ადმინისტრაციული წარმოებები. ადმინისტრაციული წარმოების ვადები შეჩერებულად ჩაითვალა საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე.
გრიგოლ სულაბერიძემ აღნიშნა, რომ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გადართული იყო, რომ სწავლება განეხორციელებინათ ელექტრონულ რეჟიმში. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა სრულყოფილად ემუშავათ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში წარმოდგენილ რეკომენდაციებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ, კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ შუამდგომლობას. ამასთან, მისთვის ცნობილი იყო შეზღუდვების შესახებ. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ერთხელ უკვე განხორციელდა გარკვეული ვადით დოკუმენტაციის წარმოდგენის თარიღის გადავადება.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა დაწესებულების შუამდგომლობის წერილის ნაწილი, სადაც საუბარი იყო, რომ 2020 წლის 12 ივნისს შევიდა ცვლილება „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ“ კანონში და ცენტრში 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 ოქტომბრამდე წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადზე ადმინისტრაციული წარმოების ვადის

შეჩერება განისაზღვრა. აღნიშნული ნორმა არ ეხებოდა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს, რადგან მოცემულ შემთხვევაში დაწესებულებას ცენტრში საავტორიზაციო განაცხადი არ ჰქონდა წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გასაგები იყო ახალ კორონა ვირუსთან (COVID-19) დაკავშირებული მდგომარეობა და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, რა იქნებოდა ის ოპტიმალური დრო, რა დროში დაწესებულება სრულყოფილად შეძლებდა დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულებაზე დოკუმენტაციის წარმოდგენას.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, გრიგოლ სულაბერიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულება სრულყოფილად მოითხოვდა დიდ ძალისხმევას და იყო დროში გაწერილი პროცესი. მაგალითად, ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო პროგრამების განახლებულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისობა. პროცესი დაწყებული იყო, თუმცა კიდევ მოითხოვდა დროს. ასევე, იყო რეკომენდაციები, რომელთა სრულყოფილად შესრულება დისტანციურ რეჟიმში შეუძლებელი იქნებოდა, მაგალითად, სარეკრეაციო სივრცის მოწყობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენლებთან შეკითხვები. ამასთან, მან განმარტა, რომ მაქსიმალური ვადა რაც იყო განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებისთვის იყო 60 დღე. მისი თქმით, 2020 წლის 6 ივლისიდან მოიხსნა ამ სფეროში არსებული ყველა სახის შეზღუდვა, შესაბამისად, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი 60 დღის ათვლა დაწყებულიყო აღნიშნული თარიღიდან. ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომაზე განიხილებოდა სხვა დაწესებულების საკითხიც, რომელმაც შეძლო რეკომენდაციების შესრულება 60 დღის ვადაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ აღნიშნა, რომ მათთვის აღნიშნული გადაწყვეტილება მისაღები იყო.

საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების საინფორმაციო რესურსები იყო ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან და საინტერესო იყო, როგორ უზრუნველყო უნივერსიტეტმა დისტანციური სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ, განმარტა, რომ უნივერსიტეტი იყენებდა Zoom-ის პლატფორმას, ამასთან, მათ მოახდინეს ყველა სახის რესურსების მობილიზება, რათა შესაბამისად განხორციელებულიყო სასწავლო პროცესი.

საბჭოს წევრმა ნუგზარ სხირტლაძემ აღნიშნა, რომ საინტერესო იყო, რატომ ვერ მოხერხდა საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ, კიდევ ერთხელ განმარტა, რომ განმეორებითი შეფასება ჯერ არ განხორციელებულა და საბჭოს არ ჰქონდა ინფორმაცია რომელი რეკომენდაცია შესრულდა და რომელი არა.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ, აღნიშნა, რომ როგორც სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი, მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ამ ეტაპზე არ იყო აუცილებელი დაწესებულებაში მოქმედი ყველა მიმართულების პროგრამის გადაწყობა ახალი კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისად. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჯობდა ინდივიდუალურად მიემართათ ცენტრისათვის და გაევლოთ კონსულტაციები, რამდენად იყო ამ ეტაპზე ამის აუცილებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ აღნიშნა, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული რეკომენდაცია დააფიქსირა, უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ

პოზიციაში ასახა, რომ დაწყებული იყო პროგრამების შესაბამისობა ახალ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან, ამასთან დაწესებულებას ამისთვის ჰქონდა დრო. თუმცა, აღნიშნულის გათვალისწინება არ მომხდარა საბოლოო დასკვნაში. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა, რომ უნივერსიტეტის მთლიანი ძალისხმევა მიმართული იყო აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებისაკენ. ვადის გახანგრძლივება ამ მიმართულებით დიდი შეღავათი იქნებოდა უნივერსიტეტისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ახალ კორონა ვირუსის (COVID-19) საფუძველზე ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, რადგან მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ხარვეზისთვის გამოსასწორებელი 60 დღიანი ვადის პერიოდში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ზღუდავდა რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას, საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შეეძლო ემსჯელა და საბჭოს მიერ დაწესებულებისთვის მიცემული 60 დღიანი ვადის ათვლის თარიღად განესაზღვრა 2020 წლის 6 ივლისი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა დამსწრე წევრებმაც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტისათვის დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის ათვლის 2020 წლის 6 ივლისიდან დაწყების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტისთვის დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის ათვლა დაიწყოს 2020 წლის 6 ივლისიდან.

2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა, აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა იმ რეკომენდაციების შესრულების საკითხი, რომელიც გამოვლინდა წინა მონიტორინგის ფარგლებში. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან დროულად იყო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და იგრძნობოდა თანამშრომლობითი დამოკიდებულება. ამასთან, მან დაამატა, რომ ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ მდგომარეობას ხელი არ შეუშლია მათვის შეეფასებინათ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულება. ამასთან, რეკომენდაციების გარდა, ექსპერტთა ჯგუფს მოუწია შეხება სტანდარტის სხვა კომპონენტებთანაც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა, აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პირველი სტანდარტის მე-2 კომპონენტს, რომ დაწესებულებას წარმოედგინა სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულების ანგარიში. ექსპერტმა თქვა, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ იყო შესრულებული. აღნიშნული ანგარიში დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა, თუმცა ექსპერტებს მისი გაცნობის შემდგომ გაუჩნდათ კითხვები. დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაციაც, თუმცა ექსპერტებს მაინც დარჩათ შეკითხვები კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენების ამსახველ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ რთული იყო აღნიშული მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება პანდემიის დროს. თუმცა, მათ მაინც დატოვეს აღნიშული რეკომენდაცია.

რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას, აღნიშული უკავშირდებოდა მეორე სტანდარტის 2.1 კომპონენტს, რომ გადახედილიყო ორგანიზაციული სტრუქტურა და დებულება. ასევე, ორგანიზაციულ სტრუქტურაში ასახულიყო ზოგიერთი სტრუქტურული ერთეული და მათი ფუნქციები განსაზღვრულიყო დებულებაში. ექსპერტმა, ია მოსაშვილმა, აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო. თუმცა მხოლოდ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ გამოგზავნილ დებულებაში იყო გაწერილი იურიდიული სამსახურის ფუნქციები და მათ ვერ შეძლეს აღნიშნულის ასახვა დასკვნაში. შესაბამისად, ექსპერტებმა ეს რეკომენდაცია მაინც დატოვეს, მაგრამ ამ ეტაპზე ის შესრულებული იყო.

რაც შეეხებოდა ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდას, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაციაც კვლავ საჭიროებდა შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ მცირე დროში ვერ მოხდებოდა პროგრამების დამატება, ექსპერტები თვლიდნენ, რომ აღნიშული მიმართული იყო უნივერსიტეტის განვითარებისაკენ. სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით ყველა სხვა რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო.

რას შეეხებოდა მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტს, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა, აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევას, რაც გათვალისწინებული იყო დაწესებულების მიერ. თუმცა, კვლევაში მონაწილე პერსონალის რაოდენობა იყო საკმაოდ დაბალი. ამასთან, კვლევის შედეგები წარმოდგენილი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, თუმცა სასურველი იქნებოდა, სრულყოფილად წარმოდგენილიყო PDCA ციკლი, მოცემული ყოფილიყო რეკომენდაციები და დასახული ყოფილიყო გაუმჯობესების გზები.

რაც შეეხებოდა, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანას და მატერიალურ-პრაქტიკული ბაზის გათვალისწინებას, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო.

ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ იგი ახორციელებდა ნაშრომების შეფასებას პლაგიატზე შესაბამის სისტემაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მანამდე მოწმდებოდა სადოქტორო ნაშრომები, ახლა კი დაწესებულებამ წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაციაც.

სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით იყო, ასევე, რეკომენდაცია განხორციელებულიყო ცვლილება ეთიკის კოდექსში ადმინისტრაციული პერსონალისთვის ეთიკისა და ქცევის წესების განსაზღვრის მიზნით რეაგირების პროცედურებთან ერთად.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების კომენტარი რეკომენდაციასთან დაკავშირებით იყო, რომ აღნიშნული გათვალისწინებულია შინაგანაწესით. ეს საკითხები უფრო შეეხებოდა დისციპლინარულ პასუხისმგებლობას, თუმცა კონკრეტულად რა იგულისხმებოდა, სასურველი იყო გაწერილიყო ეთიკის კოდექსში. შესაბამისად რეკომენდაცია კვლავ გაიცა. აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში ეს საკითხი უკვე გათვალისწინებული იყო თუმცა, დასკვნაში არ ასახულა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა, მესამე სტანდარტის 3.2 კომპონენტთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია იყო გაცემული პროგრამებში ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით, აღნიშნულის შემოწმება ვერ მოხერხდა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით. თუმცა, ექსპერტმა თქვა, რომ დაწესებულების განმარტებით, მათ პროგრამები წარდგენილი ჰქონდათ სააკრედიტაციოდ და რეკომენდაციების გათვალისწინება დასტურდებოდა არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ამასთან, მან კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ აღნიშნულის ასახვა არ მომხდარა დასკვნაში, მაგრამ იმ დროისთვის უკვე გათვალისწინებული იყო ხარვეზები.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ვებგვერდის გამართულობასა და ინგლისური და ქართული ვერსიის შესაბამისობასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თქვა, რომ რეკომენდაცია კვლავ რჩებოდა. აღსანიშნავი იყო, რომ ვებგვერდი ნამდვილად გაუმჯობესებული იყო, თუმცა პროგრამების ინგლისურენოვანი კატალოგი კვლავ არ იყო ატვირთული.

ია მოსაშვილმა, აღნიშნა, რომ მეოთხე სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები შესრულებული იყო.

მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტმა ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო დაზუსტებულიყო გასაჩივრების მექანიზმები. ამასთან, მან დაამატა, რომ უცხოურ სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმების ჩამონათვალი დაზუსტებული იყო, თუმცა გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებელი კვლავ პრობლემურ საკითხად რჩებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ მეექვსე სტანდარტის სამივე კომპონენტთან მიმართებით დაფიქსირებული რეკომენდაციები შესრულებული იყო.

მეშვიდე სტანდარტის, 7.2 კომპონენტთან მიმართებით, ექპერტმა ქეთევან აფთარაშვილმა თქვა, რომ მიუხედავად ახალი კორონა ვირუსით (COVID-19) გამოწვეული ვითარებისა, დაწესებულების ბიბლიოთეკის თანამშრომელმა შეძლო, მიეღო მონაწილეობა ვებინარში სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, ამ მხრივ უნდა გაგრძელებულიყო მუშაობა, რადგან ბიბლიოთეკის თანამშრომლების პერიოდული გადამზადება ძალიან მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების განვითარებისათვის. შესაბამისად, კარგი იქნებოდა გაწერილიყო შესაბამისი გრაფიკი, რაც აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც.

მეშვიდე სტანდარტის მესამე კომპონენტთან მიმართებით, ექსპერტმა ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას დანერგილი ჰქონდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. ამასთან, ექსპერტმა დააფიქსირა, რომ მისასალმებელი იყო, რომ დაწესებულებამ განაახლა სტუდენტთა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. ექსპერტებმა დამატებითი დოკუმენტაციაც კი გამოითხოვეს ამ საკითხთან დაკავშირებით და აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულებას მნიშვნელოვანი სამუშაო ჰქონდა გაწეული ამ მიმართულებით.

ერთადერთი რეკომენდაცია, რომელიც კვლავ შესასრულებელი გახლდათ იყო ვებგვერდთან დაკავშირებით. აღნიშული საკითხი დაფიქსირებული იყო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაშიც, თუმცა, ექსპერტის თქმით, საქმე ეხებოდა შინაარსობრივ ნაწილს. მაგალითისთვის მან აღნიშნა, რომ ვებგვერდის ქართულენოვან ვერსიაში ასახული სიახლეები არ იყო წარმოდგენილი ინგლისურენოვან ვერსიაში. ასევე, არ იყო გარკვეული ჩანართები, შესაბამისად ეს რეკომენდაცია კვლავ რჩებოდა.

რაც შეეხებოდა მეშვიდე სტანდარტის მეოთხე კომპონენტს, ფინანსურ რესურსებს, გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას განეხორციელებინა ფინანსური აუდიტი უფლებამოსილი ფინანსური ფირმის მიერ, რომლის მიერ შედგენილი დასკვნები და შედეგები იქნებოდა საჯაროდ ხელმისაწვდომი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას 2020 წლის 17 მარტს დადებული ჰქონდა ხელშეკრულება შპს ბიეს კონსალტინგთან, რომელიც ეხებოდა ფინანსურ აუდიტს. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ხელშეკრულებაც და საგადასახადო დავალებაც, თუმცა ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნა ჯერ არ იყო წარმოდგენილი. აღნიშნული გასაგები იყო ექსპერტებისთვის, თავად ხელშეკრულებაშიც ფიქსირდებოდა, რომ დასკვნა უნდა ყოფილიყო 31 ივლისს. ხელშეკრულებაში ასევე ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი. დასკვნის წარმოდგენის ვადად დაფიქსირებული იყო 2019 წელი, მაშინ როდესაც, ხელშეკრულება დადებული იყო 2020 წელს. აღნიშნული ექსპერტებს დაფიქსირებული ჰქონდათ რჩევაში. თავად რეკომენდაცია კვლავ რჩებოდა, იქიდან გამომდინარე, რომ დასკვნა იქნებოდა 31 ივლისს.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ მათთვის გასაგები იყო ყველაფერი. საბჭოს ჰქონდა უკვე მსჯელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. წინა მონიტორინგის დროსაც მდგომარეობა არ იყო ცუდი, თუმცა რეკომენდაციებისა და რჩევების რაოდენობა იყო საკმაოდ ბევრი, შესაბამისად, საბჭომ ჩათვალა, რომ კარგი იქნებოდა მათი შესრულება გადამოწმებულიყო მონიტორინგის გზით. მან აღნიშნა, რომ ეს იყო საკმაოდ სწორი გადაწყვეტილება, რადგან მიუხედავად პანდემიით გამოწვეული რთული მდგომარეობისა, ჩანდა, რომ დაწესებულებას ბევრი ჰქონდა ნამუშევარი. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როდის უწევდა უნივერსიტეტს ავტორიზაცია. ამასთან, მათ სთხოვა, წარმოედგინათ საკუთარი პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინათ კვლავ შესასრულებელ რეკომენდაციებზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დავით ტეფნაძემ თქვა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა გასდიოდა 2021 წლის ივლისის თვეში. მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში კი უკვე უნდა წარმოედგინათ საავტორიზაციო განაცხადი. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, როგორც აღინიშნა განმეორებითი შეფასება განხორციელდა დისტანციურად. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად პანდემიით გამოწვეული მდგომარეობისა, უნივერსიტეტი უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდა საქმიანობას, შესაბამისად უნივერსიტეტმა შეძლო, რომ რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შესრულებულიყო.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დავით ტეფნაძემ თქვა, რომ როგორც წინა მონიტორინგის დასკვნაში, ისე ახლანდელში იყო გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რადგან დასკვნის დასაწყისში მოცემული რეკომენდაციების ერთობლიობა არ მოდიოდა თანხვედრაში უკვე სტანდარტების მიხედვით ჩაშლილ რეკომენდაციებთან. დაწესებულება, რა თქმა უნდა, ეცნობოდა მთლიან დასკვნას, თუმცა, სამწუხაროდ რამდენიმე რეკომენდაცია არ იყო ასახული დასკვნის დასაწყის ნაწილში, შესაბამისად არ იყო საუბარი არგუმენტირებულ პოზიციაშიც.

დავით ტეფნაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით, რიგ შემთხვევაში ექსპერტებს ჰქონდათ შეფასებული არა მხოლოდ კონკრეტული რეკომენდაციების შესრულება, არამედ, მათ დამატებული ჰქონდათ ახალი რეკომენდაციები. მან მაგალითად მოიყვანა ის, რომ დასკვნის პროექტში ექსპერტებს ეწერათ, რომ 1.2. სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები შესრულებული იყო და დარჩენილი იყო მხოლოდ ვებ გვერდზე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ინგლისურ ენაზე განთავსება. მან აღნიშნა, რომ საბოლოო დასკვნაში ამ სტანდარტთან მიმართებით უკვე ახალი რეკომენდაცია იყო გაცემული, კერძოდ, ექსპერტებს აღნიშნული ჰქონდათ, რომ რეკომენდაციად რჩებოდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების ამსახველი დოკუმენტები და კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების ამსახველი დოკუმენტების წარმოდგენა. დავით ტეფნაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული უკვე ხორციელდებოდა პრაქტიკაში, ხოლო ექსპერტებს ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გამოუთხოვიათ, შესაბამისად ექსპერტები ამ ინფორმაციას ვერ ნახავდნენ. მან ასევე აღნიშნა, რომ შეეძლო ეკრანი გაეზიარებინა და აღნიშნული დოკუმენტები ეჩვენებინა ყველასთვის. მან ასევე აქცენტი გააკეთა კიდევ ერთ რეკომენდაციაზე, სადაც ექსპერტები წერდნენ, რომ დაზუსტებულიყო რა მექანიზმით ხდებოდა სტუდენტების საჩივრების განხილვა, როგორც ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროცედურაც ასევე დეკემბრის თვეში იყო დამტკიცებული და უნივერსიტეტში ეს პროცესი უკვე მიმდინარეობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა რა კომენტარს გააკეთებდნენ ამ ფაქტთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ მართალია აღნიშნული რეკომენდაცია დასკვნის პროექტში არ იყო, თუმცა ის აღწერილი იყო ნარატიულ ნაწილში და როდესაც მათ კიდევ ერთხელ გადახედეს საბოლოო დასკვნას აუცილებლად მიიჩნიეს ამ ინფორმაციის ასახვა საბოლოო დასკვნაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული სამსახურის საქმიანობის წესი და ყველა შესაბამისი მასალა გადაგზავნილი იყო ექსპერტთა ჯგუფთან, უნივერსიტეტის სტრუქტურაში ცალკე არ იყო გამოყოფილი იურიდიული სამსახური, ამიტომ მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები და უნივერსიტეტის სტრუქტურაში გაჩნდა იურიდიული სამსახური. მათ ასევე გაითვალისწინეს ბიბლიოთეკასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა დანერგა თუ არა უნივერსიტეტმა ელექტრონული სწავლებისთვის აუცილებელი მექანიზმები, რაზეც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო და ელექტრონული სწავლების მექანიზმები დანერგილი იყო.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვას. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მმართველი საბჭოს 6 მარტის ოქმი, საიდანაც ჩანდა, რომ თანამშრომლები ითხოვდნენ ტრენინგებს და ეს დაევალა შესაბამის სამსახურს და მარტის თვიდან დღემდე ჩატარებული იყო 4 ტრენინგი. აღნიშნული დოკუმენტაცია გადაგზავნილი იყო ექსპერტებთან. დავით ტეფნაძის მოსაზრებით, შედეგები რომ დათვლილი და გაანალიზებული იყო ამას ადასტურებდა ის, რომ უნივერსიტეტში ტრენინგები უკვე ჩატარებული იყო. სხვა შემთხვევაში კონკრეტული შედეგების გარეშე ვერც მიზნობრივი ტრენინგები ვერ ჩატარდებოდა.
საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლაძემ იკითხა, თუ რატომ იყო გამოკითხვაში ჩართულობა მხოლოდ 30%, თუ რამ გამოიწვია ჩართულობის ასეთი დაბალი მაჩვენებელი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დავით ტეფნაძემ უპასუხა, რომ

გამოკითხვები უნივერსიტეტში ტარდებოდა პირველად და ამან განაპირობა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი. მან ასევე აღნიშნა, რომ ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას დრო სჭირდებოდა და ის იმედოვნებდა, რომ შემდგომ კვლევებში უფრო მეტი ადამიანი იქნებოდა ჩართული. ასევე მან აღნიშნა, რომ ისინი არ აიძულებდნენ პერსონალს გამოკითხვებში მონაწილეობას, რადგან მისი მოსაზრებით, დაძალება რეალურ სურათს ცვლიდა. ამიტომ, კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა და თქვა, რომ კარგი გადაწყვეტილება იყო, რომ კვლევები იყო ნებაყოფლობითი. ამასთან, როდესაც კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია ჩართულობის მაჩვენებელი როგორც წესი არ არის ხოლმე მაღალი.

საბჭოს წევრი დავით ბოსტოღანაშვილი დაინტერესდა, რამდენ ადამიანს შეადგენდა ეს 30 პროცენტი, რაზეც დავით ტეფნაძემ უპასუხა, რომ ეს იყო დაახლოებით 20 ადამიანამდე. დავით ბოსტოღანაშვილი დაინტერესდა, რამდენად იყო შესაძლებელი 20 ადამიანის გამოკითხვის შედეგები განზოგადებულიყო მთელი უნივერსიტეტის მასშტაბზე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ეს იყო მხოლოდ ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა და ეს ადამიანები სწავლების პროცესში უშუალოდ ჩართული არ იყვნენ. რაზეც დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ მონაცემი მაინც არ იყო საკმარისი. რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როდესაც მან თქვა, რომ გამოკითხვა უნდა ყოფილიყო ნებაყოფლობითი ის გულისხმობდა მხოლოდ სტუდენტების გამოკითხვას, ხოლო მისი მოსაზრებით აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ნებაყოფლობითი, რასაც საბჭოს წევრი მაია მანწკავაც დაეთანხმა.

საბჭოს წევრმა ირაკლი კოხრეიძემ იკითხა, თუ გამოიკვლიეს რატომ არ მიიღო მეტმა ადამიანმა კვლევაში მონაწილეობა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თქვა, რომ HR სამსახურს დაევალა შემდგომისთვის უფრო მეტი პოპულარიზება გაეკეთებინა მსგავსი ტიპის კვლევების, გაევრცელებინა მესიჯი, რომ აღნიშნული გამოკითხვები ტარდებოდა მათი განვითარების კუთხით. ირაკლი კოხრეიძის მოსაზრებით, ადმინისტრაციული პერსონალი უნდა ყოფილიყო დაინტერესებული საკუთარი მოსაზრებები მიეწოდებინა უნივერსიტეტისათვის, რასაც საბჭოს თავმჯდომარეც დაეთანხმა.

საბჭოს წევრმა მორისი შალიკაშვილმა იკითხა იყო თუ არა გამოკითხვა ანონიმური და უწევდა თუ არა პერსონალს პოზიციის მითითება. რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გამოკითხვა იყო სრულიად ანონიმური.

საბჭოს წევრმა ნუგზარ სხირტლაძემ იკითხა, თუ რა ტრენინგები ჩატარდა უნივერსიტეტში და რა ისწავლა ადმინისტრაციულმა პერსონალმა ამ ტრენინგების შედეგად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ პირველი ტრენინგი იყო საავიაციო სფეროში უსაფრთხოების შესახებ, ასევე საავიაციო უშიშროებისა და სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ ტრენინგები. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ეს იყო თუ არა ის ტრენინგები რასაც ითხოვდა ადმინისტრაციული პერსონალის 30%. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პერსონალს გაეგზავნა ორი კითხვარი, პირველი იკვლევდა კმაყოფილებას, ხოლო მეორე კითხვარით მათ გამოიკვლიეს ის ტრენინგები, რომელზე ხელმისაწვდომობაც სურდა პერსონალს.
საბჭოს წევრმა იური მღებრიშვილმა იკითხა თუ ვინ შეადგინა კითხვარი, რამდენად კომპეტენტური ადამიანები იყვნენ კითხვარის შემუშავებაში ჩართული. კვლევის დროს მნიშვნელოვანი იყო კითხვები ისე ყოფილიყო დასმული, რომ პერსონალს არ გასჩენოდა შიში ამ კითხვებზე პასუხისას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კითხვარი შეიმუშავეს ადამიანური რესურსებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წამომადგენლებმა. კითხვარები იყო უცხოური კითხვარების ქართულად გადმოთარგმნილი ვერსიები. იური

მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ ეს იყო შეცდომა, რადგან უცხოეთიდან გადმოღებული კითხვები მორგებული იყო სხვა მენტალიტეტსა და სხვა კულტურაზე და მათი გადმოტანა და საქართველოში დანერგვა არა რელევანტური და არაეფექტური იყო.

საბჭოს წევრმა ირაკლი კოხრეიძემ იკითხა, თუ რა მექანიზმებით აპირებდნენ ადმინისტრაციული პერსონალის უფრო მეტად ჩართვას კვლევებში. იყო თუ არა უკვე ჩატარებული კვლევა მასტიმულირებელი იმისთვის, რომ შემდგომში ისინი უფრო მეტად ჩართულიყვნენ მსგავს პროცესებში. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გამოკითხვა მხოლოდ გამოკითხვით არ დამთავრებულა და პერსონალმა მიიღო კონკრეტული უკუკავშირები ტრენინგების სახით. შემდგომი კვლევების დროს ადამიანური რესურსების სამსახურის წარმომადგენელი პერსონალს მიაწოდებდა ინფორმაციას წინა კვლევის შედეგებზე, რის საფუძველზეც ისინი იმედოვნებდნენ, რომ მეტი ადამიანი ჩაერთვებოდა მომდევნო კვლევებში. ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა იყო თუ არა კმაყოფილი ეს 30%, რაზეც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ ადმინისტრაციული პერსონალის ეს ნაწილი ვინც გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო კმაყოფილი იყო, რადგან მათ ზუსტად ის ტრენინგები ჩაუტარდათ რაც გამოკითხვებით მოითხოვეს. ირაკლი კოხრეიძემ იკითხა, თუ როგორ გაზომეს ტრენინგის შემდეგ პერსონალის კმაყოფილება, რაზეც დავით ტეფნაძემ უპასუხა, რომ იმ კომპანიამ, რომელმაც ჩაატარა ტრენინგი, ტრენინგის ბოლოს ასევე ჩაატარა გამოკითხვა, რომელიც ტრენინგის მონაწილეების კმაყოფილებას იკვლევდა. აღნიშნულის შედეგად დადგინა ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების ხარისხი. საბჭოს წევრმა ირაკლი კოხრეიძემ აღნიშნა, რომ ეს იყო ადეკვატური და დამაკმაყოფილებელი პასუხი.

17:00 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნინო ინასარიძემ.

საბჭოს წევრებმა დავით ბოსტოღანაშვილმა და მორისი შალიკაშვილმა ინსტიტუციას ურჩიეს, რომ მეტად ემუშავათ ინდივიდუალურად ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, რადგან მათი ჩართულობა მნიშვნელოვანი იყო სასწავლო პროცესის გამართულად მუშაობისთვის. მათ კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ 20 ადამიანის გამოკითხვა არ იყო კარგი შედეგი და ეს იყო გასაუმჯობესებელი, თუმცა ასევე დაამატეს, რომ ეს არ იყო მხოლოდ საავიაციო უნივერსიტეტის პრობლემა. მათივე მოსაზრებით, ადმინისტრაციულ პერსონალს არ უნდა გასჩენოდა „დასწავლილი უმწეობის“ ფენომენი და არ უნდა ეფიქრათ, რომ მათი ჩართულობა არაფერს გადაწყვეტდა და სისტემურ დონეზე არაფერი შეიცვლებოდა. მათი მოსაზრებით, მოტივაციის გაზრდისთვის საჭირო სწორედ მათთან ინდივიდუალური მუშაობა იყო. აღნიშნული შემდგომში მოიტანდა ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა რჩევისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ თუ კითხვები აღარ იყო, სასურველი იქნებოდა გადასულიყვნენ შემდეგი სტანდარტის შეფასებაზე.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით ტეფნაძემ აღნიშნა, რომ 2.3 სტანდარტთან მიმართებით გაცემული იყო რეკომენდაცია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ეთიკის კოდექსის გაწერასთან დაკავშირებით, რომელიც უკვე გაწერილი იყო და შესული იყო ძალაში, თუმცა აღნიშნულის გათვალისწინება ექსპერტების მიერ ვერ მოხერხდებოდა, რადგან პროცედურულად ეს ინფორმაცია ექსპერტებს დასკვნის პროექტის შემდეგ მიეწოდა. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სილაბუსებთან დაკავშირებულ ტექნიკურ შეცდომებს და ასევე, კატალოგის ინგლისურ ვერსიას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით ტეფნაძემ თქვა, რომ დღეს საიტზე გამოქვეყნებული იყო როგორც ქართული ასევე ინგლისური ვერსია და ეს იყო ტექნიკური შეცდომა. რაც შეეხებოდა, სილაბუსებს მან თქვა, რომ კონკრეტულად ის სილაბუსებიც იყო გაგზავნილი ექსპერტებთან

რომელშიც დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომები და ფაქტობრივად, ეს ტექნიკური შეცდომები გამოსწორებული იყო. სილაბუსები განახლებული სახით წარდგენილი იყო აკრედიტაციაზეც.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია იყო გაცემული სტუდენტთა გამოკითხვებთან მიმართები, რომ ისინი აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო მხოლოდ ანონიმურად. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, უნივერსიტეტში ყველა გამოკითხვა ტარდებოდა ანონიმურად, იქნებოდა ეს ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალის თუ სტუდენტების გამოკითხვები. ერთადერთი გამოკითხვა რომელიც არ იყო ანონიმური ეს იყო სტრატეგიულ დაგეგმვასთან მიმართებით, რომელიც თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ უქმნიდა სტუდენტს უხერხულობას გაემჟღავნებინა საკუთარი ვინაობა.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა გასაჩივრების პროცედურებს, რომელიც მანამდე არ იყო გაწერილი, თუმცა, დავით ტეფნაძის განმარტებით დღევანდელი გამოცდის ჩატარების პროცედურები მოიცავდა აპელაციისა და გასაჩივრების მექანიზმებს. უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ დაამატა, რომ მანამდე ეს პროცედურა რეგულირდებოდა სტუდენტთა ხელშეკრულებებში. ხელშეკრულებაში იყო ჩანაწერი იმის შესახებ, რომ სტუდენტს ჰქონდა საშუალება მოეთხოვა თავისი ნაშრომი და გაესაჩივრებინა ის საჭიროების შემთხვევაში. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკაში არსებული წესი ახლა გადატანილი იყო პროცედურის სახით. მისივე განმარტებით, გამოცდებს ატარებდა საგამოცდო ცენტრი. გამოცდის შედეგების გაცნობის შემდეგ ნებისმიერ სტუდენტს შეეძლო მისულიყო და გაცნობოდა ნაშრომს. თუ ნაშრომში სტუდენტი იპოვნიდა ტექნიკურ ხარვეზს, აღნიშნული ხარვეზი შეიძლებოდა ადგილზე გამოსწრებულიყო. თუ სტუდენტი არ ეთანხმებოდა შეფასებას ნაშრომი გასასწორებლად ეგზავნებოდა ლექტორს. თუ ლექტორი ჩათვლიდა, რომ ყველაფერი სწორად იყო და სტუდენტის ქულა არ ექვემდებარებოდა ცვლილებას და ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა სტუდენტი, სტუდენტს შეეძლო დაეწერა განცხადება რექტორის სახელზე, რომლის საფუძველზეც შეიქმნებოდა სპეციალური კომისია და ამ კომისიაში ერთი ადამიანი აუცილებლად იქნებოდა დარგის ცოდნის მქონე ლექტორი. მისივე განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება უკვე იყო საბოლოო, რომელსაც ასევე სტუდენტი ადასტურებდა ხელმოწერით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა გასაჩივრების რა პროცენტული მაჩვენებელი იყო უნივერსიტეტში. რექტორის მოადგილემ უპასუხა, რომ პრაქტიკიდან გამომდინარე, ისეთი შემთხვევა, რომ სტუდენტის ნაშრომი სპეციალურ კომისიას შეესწავლა იყო ორი შემთხვევა და ორივე შემთხვევაში სტუდენტი ტყუოდა. სტუდენტი წერდა სხვა საკითხზე და კითხვა იყო სხვა. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არ ყოფილა პრაქტიკა, რომ სტუდენტს მომატებოდა 2 ქულაზე მეტი გასაჩივრების შედეგად. ასევე სტუდენტისთვის ხდებოდა დასაბუთება თუ რატომ ეწერებოდა ესა თუ ის შეფასება.

რაც შეეხებოდა შემდეგ რეკომენდაციას ეს ეხებოდა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, გაცვლით პროგრამებში პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობაზე არსებული ინფორმაცია ექსპერტებს მიეწოდათ დასკვნის პროექტის შემდეგ. მანვე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა სხვადასხვა სახის მემორანდუმები, რომლებიც ადასტურებდა პერსონალის და სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას.

7.2 სტანდარტთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ შესაბამისი ტრენინგი ჩატარდა, თუმცა მისივე განმარტებით, ის რაც ექსპერტებმა მოითხოვეს, ტრენინგ მოდულების გეგმა გრაფიკები, ამას ავტორიზაციის სტანდარტები არ მოითხოვდა,

რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ასეთი გეგმა გრაფიკების არსებობით თავად უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო დაინტერესებული. რაზეც დავით ტეფნაძემ უთხრა, რომ სამოქმედო გეგმაში იყო გაწერილი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება.

საბჭოს წევრი ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა, გამოკითხვებში თუ მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის წარმომადგენლები. დავით ტეფნაძემ უპასუხა, რომ ბიბლიოთეკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ გამოკითხვებში.

დავით ტეფნაძემ შემდეგ რეკომენდაციაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საიტი სრულად განახლებული იყო. საიტზე განთავსებული იყო ყველა სიახლე და დოკუმენტი მოიპოვებოდა როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე. მისივე განმარტებით, იმ დროისთვის მხოლოდ მარეგულირებელი დოკუმენტაცია არ იყო ნათარგმნი ინგლისურ ენაზე, რომელიც იმ პერიოდში ითარგმნებოდა და ნელ-ნელა განთავსდებოდა საიტზე. რაც შეეხებოდა ფინანსურ აუდიტს, მუშაობა დაწყებული იყო, თანხა გადახდილი იყო, აუდიტის პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა და მალე იქნებოდა შედეგები.

საბჭოს წევრმა დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადი სურათი ნათელი იყო, ჩანდა უნივერსიტეტის პოტენციალი, რომ ორ თვეში უნივერსიტეტს ჰქონდა კარგი შედეგი, მათ ერთ წელში უწევდათ ავტორიზაცია და ისინი კიდევ უფრო მეტს გააკეთებდნენ და მეტად მოემზადებოდნენ ავტორიზაციის პროცესისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ ის ეთანხმებოდა მის კოლეგას და მისივე განმარტებით 60 დღიანი გამოსწორების ვადა სწორედ ამ შედეგს ემსახურებოდა, რაც დღეს უნივერსიტეტმა წარმოადგინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დამაზუსტებელი კითხვით სააპელაციო პროცედურებთან მიმართებით. თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ ექსპერტებს გაცემული ჰქონდათ რეკომენდაცია, რომ დახვეწილიყო აპელაციის პროცედურები. მან ექსპერტებს მიმართა კითხვით, ის პროცედურა რაც ვიცე რექტორმა აღწერა იყო თუ არა საკმარისი აპელაციის პროცედურების წარმატებით განხორციელებისთვის. თუ ეს რეკომენდაციები მიემართებოდა რამე სხვა პროცედურებს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია ეხებოდა გამოცდის შედეგების გასაჩივრების პროცედურების დეტალურ აღწერას და დახვეწას, მისივე განმარტებით ამაზე ინფორმაცია ექსპერტებს მიეწოდა არგუმენტირებული პოზიციის დროს რისი ასახვაც საბოლოო დასკვნაში ვერ მოხერხდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ნაყოფიერი მუშაობისთვის. მისი განმარტებით ეს იყო ის შემთხვევა, როდესაც უნივერსიტეტმა წარმატებით გამოიყენა 60 დღიანი ვადა და კარგი წინა საავტორიზაციო პერიოდი გაიარა. მისი მოსაზრებით, დაწესებულება უფრო მომზადებული შეხვდებოდა ავტორიზაციის ვიზიტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის (ს/კ: 206155328) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:25 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ